იესოს სახის რეპრეზენტაცია მსოფლიო კინემატოგრაფში

(„იესო ქრისტე სუპერვარსკვლავი“ , რეჟ. ნორმან ჯუისონი, „მათეს სახარება“, რეჟ. პ.პ. პაზოლინი, „ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება“, რეჟ. მარტინ სკორსეზე“, ფილმების მაგალითზე)

ჩიხლაძე თამარი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე კინომცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევები და კულტურის მენეჯმენტი (კინომცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მხეიძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

XX საუკუნის ხელოვნების მრავალი ნოვაცია კინემატოგრაფის კონკრეტულ ზეგავლენას გულისხმობს და უმთავრესად, მისი ტექნიკური არსენალიდან იღებს სათავეს. XX საუკუნის ხელოვნების ყველა სფეროში კინო მანამდე არნახული გაქანებითა და სიჩქარით შეიჭრა. კინემატოგრაფმა თავის თავში ხელოვნების მთელი არსენალი მოიაზრა. რასაკვირველია, ამ ნოვაციების ფონზე კინო შეეხო მრავალ ტაბუდადებულ თემებს მათ შორის რელიგიას.

ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს რელიგიური თემების და კონკრეტულად იესოს ისტორიის ინტერპრეტაცია კინოში. კვლევა ემყარება სხვადასხვა რეჟისორის ყველაზე მნიშვნელოვან ფილმებს ამ თემის ირგვლივ. ნაშრომში განხილულია ფილმები ზოგადად დაწყებული უხმო კინოდან დამთავრებული დღევანდელობამდე. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია სამ ფილმზე: „იესო ქრისტე სუპერვარსკვლავი“, „იესოს უკანასკნელი ცდუნება“, „მათეს სახარება“. აღნიშნული ფილმები ყველაზე უკეთ გვთავაზობენ ინტერპრეტაციულ სიახლეებს და მახასიათებლებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინეს რელიგიური აზროვნების ცნობიერებაში.

ნაშრომში წარმოდგენილია ასევე ზოგადი მიმოხილვა რელიგიის მნიშვნელობის ადამიანთა აზროვნებაში და ზოგადად მისი მნიშვნელობა ხელოვნებაში.

ნაშრომში გამოვლენილია რელიგიური თემის რეჟისორული ინტერპრეტაციების შედეგები და ღირებულებები საზოგადოების აზროვნებასა და ხელოვნების სფეროში.